ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №204

ქ. თბილისი 2 დეკემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ – ქალაქ თბილისის №198 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის თეონა ყაჭეიშვილის სახით და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი-გადამხდელი „გაიოზ გოშაძე"-ს (შემდგომში „მიმწოდებელი") სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.6 „მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7 „არაჯეროვანი შესრულება" ხელშეკრულების მიზნიდან გამომდინარე მიმწოდებლის მხრიდან შემსყიდველისათვის ისეთი სახის მომსახურების მიწოდება, რომელიც შეესაბამება ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებულ საგანს,თუმცა ბოლომდე არ აკმაყოფილებს აღნიშნული ხელშეკრულების ყველა პირობას;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანია - სსიპ – ქალაქ თბილისის №198 საჯარო სკოლისათვის სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად ტექნიკური მომსახურების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით;

2.2. CPV კოდი 79418000.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 500.0 ლარს (სულ 5 ტენდერი მ. შ. კვება 4, შენობის დაცვა 1);

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს;

3.3. ფასების ცხრილი (დანართი 1) თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

5. მომსახურების გაწევის ვადა

5.1 მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

5.2 მომსახურების გაწევის ადგილია – ქალაქი თბილისი, ჟიული შარტავას ქუჩა №20.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1 გასწიოს მომსახურება სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად, სათანადო ხარისხით და სტანდარტებით;

6.4.2 განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან დამატებითი ხარჯების გაწეის გარეშე;

6.4.3 უზუნველყოს სატენდერო კომისიის მომზადებული სატენდერო დოკუმენტაციის განთავსება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში და შესასრულოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ნატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით გათვალისწინებული სათანადო პროცედურები.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით;

7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით

7.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალიწინებული გარემოებების დადგესის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით;

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცაკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

8.5 ხელშეკრულების ცაკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

8.6. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 8.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;

8.7. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.
9.2 9.1 პუნქტში აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;
9.3 მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება გაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმებიდან და მოქმედებს 2017 წლის 25 იანვრის ჩათვლით.

12. სხვა პირობები
12.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
12.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
12.4.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
12.5 ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ-ქალაქ თბილისის №198 საჯარო სკოლა მისამ. ქალაქი თბილისი, შარტავას ქუჩა №20	ფიზიკური პირი-გადამხდელი „გაიოზ გოშაძე“ მისამ. ქ. თბილისი, ვარკეთილის მას. II მკრ. კორპუსი 4ა, ბ 44 სს „საქართველოს ბანკი“ ა/ა GE14BG0000000344029100 კოდი BAGAGE22 საიდენტ. კოდი 108157299
დირექტორი:	ფიზიკური პირი-გადამხდელი
_____ თ. ფაჯეიშვილი	_____ გ. გოშაძე

ფასების ცხრილი

დანართი 1

	დასახელება	რ-ბა	ერთი ტენდერის მომსახურება (ლარი)	სულ ღირებულება (ლარი)	
	გამარტივებილი ელექტრონული ტენდერი	5	100-00	500.0	

შემსყიდველი:

სსიპ – ქალაქ თბილისის №198 საჯარო მისამ. სკოლა ქ.თბილისი, შარტავას ქუჩა №20

დირექტორი:

_____ თ. ტაბეიშვილი

მიმწოდებელი:

ფიზიკური პირი-გადამხდელი „გაიოზ გოშაძე“
მისამ. ქ. თბილისი, ვარკეთილის მას. II მკრ. კორპუსი 4ა, ბ 44
სს „საქართველოს ბანკი“
ა/ა GE14BG0000000344029100
კოდი BAGAGE22
საიდენტ. კოდი 01027031028 (108157299)

ფიზიკური პირი-გადამხდელი

_____ გ. გოშაძე